ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97252181**

თარიღი:**06/08/2025**

დაბა ლენტეხში თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით

ჩაკეტვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი1. დაბაში ავტომობილების რიცხვის მატების გამო, ვიზიტორების და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩაიკეტოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა თამარ მეფის ქუჩის გარკვეულ მონაკვეთზე. კერძოდ: გზაჯვარედინიდან (№ 5) - ლენტეხის რაიონული სამმართველოს ჩასახვევამდე საღამოს 6 საათიდან ღამის 2 საათამდე.

მუხლი2.განკარგულების მოქმედების ვადა 2025 წლის 6 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

მუხლი3.განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენტეხის რაიონულ სამმართველოს.

მუხლი4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი5.განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი